

ეგოიზმის კავშირი ინტერპერსონალურ კომპეტენციებსა და ემოციურ ინტელექტთან¹

მარიამ გუგეშაშვილი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ბაკალავრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

The relationship of Selfishness to Interpersonal competencies and Emotional intelligence

Mariam Gugeshashvili

Bachelor of the Faculty Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University



¹„ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა განსხვავებულად უკავშირდება თუ არა ეგოიზმის სხვადასხვა სახე (ეგოცენტრული, ადაპტაციური, პათოლოგიური) ინტერპერსონალურ კომპეტენციებსა და ემოციურ ინტელექტს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 135-მა 19-დან 76 წლამდე ასაკის ადამიანმა, რომლებმაც შეავსეს თვითანგარიშის ტიპის სამი კითხვარი: ეგოიზმის საკვლევი კითხვარი (Raine & Uh, 2019), ემოციური კომპეტენციების საკვლევი ტესტი (Freudenthaler & Neubauer, 2005) და ინტერპერსონალური კომპეტენციების საკვლევი კითხვარი (Buhrmester et al, 1988). მონაცემთა დასამუშავებლად გამოვიყენეთ კორელაციური და რეგრესიული ანალიზი. მიღებული შედეგების მიხედვით, ეგოიზმის სამივე ფორმა უარყოფითად უკავშირდება ემოციურ ინტელექტს და, აგრეთვე, ინტერპერსონალური კომპეტენციებიდან: ემოციური მხარდაჭერისა და კონფლიქტის გამკლავების კომპონენტებს. გამოიკვეთა, რომ ეგოიზმის ტიპებიდან მხოლოდ ეგოცენტრული ეგოიზმი წარმოადგენს ემოციური ინტელექტის სანდო მაუწყებელს. რაც შეეხება ინტერპერსონალურ კომპეტენციებს, უკვე აღნიშნული ორი კომპონენტის გარდა, არცერთი მათგანის ეგოიზმთან კორელაცია არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. გარდა ამისა, დაფიქსირდა სქესთა შორის განსხვავებები როგორც ეგოიზმის, ასევე ემოციური ინტელექტის მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: ეგოიზმი, ინტერპერსონალური კომპეტენციები, ემოციური ინტელექტი

Abstract

The purpose of this study is to determine whether different types of selfishness (egocentric, adaptive, pathological) are related differently to interpersonal competencies and emotional intelligence affects. 135 people between the ages of 19 and 76 participated in the study and filled out three self-report questionnaires: The Selfishness Questionnaire (Raine & Uh, 2019), the Emotional Competence Research Test (Freudenthaler & Neubauer, 2005) and the Interpersonal Competence Questionnaire (Buhrmester et al, 1988). We used correlation and regression analysis to process the data. According to the obtained results, all three forms of egoism are negatively related to emotional intelligence and also, from interpersonal competencies: emotional support and conflict managing components. It was revealed that among the types of egoism, only egocentric egoism is a reliable predictor of emotional intelligence. As for interpersonal competencies, except for the two components already mentioned, none of them had a statistically significant correlation with egoism. In addition, gender differences were observed in both selfishness and emotional intelligence.

Key words: selfishness, interpersonal competencies, emotional intelligence

შესავალი

ეგოიზმი განიხილება როგორც ადამიანის თვისება, ფოკუსირებული იყოს საკუთარ ინტერესებზე და მოქმედებდეს მათ სასარგებლოდ (Raine & Uh, 2018). როგორც წესი, ეს ცნება ხშირად გამოიყენება ადამიანთა ანტი-სოციალური ქცევების ასახსნელად და ლოგიკურია, რომ ეგოიზმს საზოგადოებაში ნეგატიური კონოტაცია აქვს, თუმცა ბოლოდროინდელ კვლევებში (იხ. მაგ., Kaufman & Jauk, 2020) ხშირად არის ნახსენები ჯანსაღი, ადაპტური ეგოიზმი, რომელიც არა უარყოფითი თვისება, არამედ საკმაოდ სასურველი მახასიათებელია და შესაძლოა, როგორც „ეგოისტი“ ადამიანის, ასევე, მისი გარშემომყოფების ცხოვრებას ამარტივებდეს. შესაბამისად, ადაპტური ეგოიზმის კავშირების შესწავლა ისეთ ფაქტორებთან, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობების წარმატებით ჩამოყალიბებასა და წარმართვაში, მოცემული ცვლადის ბუნების შესახებ უფრო ამომწურავ ინფორმაციას მოგვცემს. იმ ფონზე, რომ თანამედროვე საზოგადოებაში აქტუალურია საკუთარი თავისადმი მეტი სიყვარულის გამოხატვის მოწოდებები, აღნიშნული კონსტრუქტის უკეთ შესწავლა და მისი ემოციურ ინტელექტთან და ინტერპერსონალურ კომპეტენციებთან დაკავშირება დაგვეხმარება გავარკვიოთ, მართლაც არსებობს თუ არა ხარისხი, რომლითაც ეგოიზმი სასარგებლოა და ხელს გვიწყობს ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

1. ეგოიზმი

არიან თუ არა ადამიანები ფუნდამენტურად ეგოისტები? ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემასაც საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ ფილოსოფოსები და მეცნიერები. თომას ჰობსმა, ჯერ კიდევ ოთხი საუკუნის წინ გამოთქვა აზრი, რომ თვითინტერესი არის ადამიანის ფუნდამენტური მოტივაცია (Hobbes 1950; 1651). ეს მოტივაცია ხშირადაა ნახსენები სოციალურ მეცნიერებებში, გამორჩეულად კი ეკონომიკასა და ფსიქოლოგიაში (Crocker, 2017). სოციალურ ფსიქოლოგიაში, რომელიც კონკრეტულად სოციალურ ურთიერთობებზე კონცენტრირდება, უამრავი თეორია ჩამოყალიბდა იმ იმპლიციტური დაშვებით, რომ ადამიანები არიან ძირითადად ეგოცენტრულები და საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებულნი, მაგალითად, სელფის (Alicke & Sedikides, 2011), დამხმარე ქცევის (Cialdini et al., 1987), ახლო ურთიერთობების (Murray et al., 2006), ეგოისტური წახალისების (Caporael et al., 1989) და სხვ. თეორიები.

ემპირიული კვლევები ეგოიზმზე მსგავს რადიკალურ მოსაზრებებს არ ეთანხმება. მიუხედავად იმისა, რომ არის სიტუაციები, რომლებშიც ადამიანები მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე არიან ორიენტირებულნი (Li et al., 2013), მათ, ისევე როგორც სხვა ძუძუმწოვრებს, განვითარებული აქვთ მზრუნველობის სისტემა, რომელიც მოტივაციას აძლევთ, რომ იზრუნონ მასზე, ვისაც საკუთარ თავზე ზრუნვა არ შეუძლია. ადამიანების ეს უნარი შთამომავლობაზე ზრუნვიდან განზოგადდა მეგობრების, ნაცნობების და ხანდახან უცნობების კეთილდღეობის სურვილშიც კი

(Sprecher & Fehr, 2005). ერთ-ერთი კვლევის მიხედვით (Le et al., 2018), გაზიარების პრინციპით მოტივირებული ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ სხვათა კარგად ყოფნაზე, თავადაც უფრო ინტენსიურად განიცდიან კეთილდღეობას. თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ პერსონალური კეთილდღეობა მხოლოდ მაშინ იზრდებოდა, როდესაც საზოგადოებრივი ზრუნვის გაწევისას ადამიანები საკუთარ თავს არ ივიწყებდნენ და საკუთარ მოთხოვნილებებს არ უგულებელყოფდნენ. მაშასადამე, მნიშვნელოვანია დავფიქრდეთ იმაზე, თუ რამდენად მყიფეა ზღვარი საკუთარ თავსა და სხვებზე ზრუნვას შორის და შეიძლება თუ არა, რომ ადამიანთა ეგოიზმი პიროვნული და კოლექტიური კეთილდღეობის საფუძველი იყოს.

1939 წელს ერის ფრომმა ნარკვევში „ეგოიზმი და საკუთარი თავის სიყვარული“ პირველივე წინადადებით განაცხადა, რომ თანამედროვე სამყაროში ეგოიზმი ტაბუირებულია და გვასწავლიან, რომ ეგოისტობა ცოდვია, ხოლო სხვების სიყვარული სათნოება. მოცემულ ესეში ფრომი ამტკიცებს, რომ განხილულმა კულტურულმა ტაბუმ დაგვაცენა სამწუხარო რეალობის წინაშე: ადამიანები თავს დამნაშავედ გრძნობენ საკუთარი თავისადმი ჯანსაღი სიყვარულის გამოხატვისასაც კი. საკუთარი თავის სიყვარულს იგი განსაზღვრავს, როგორც ადამიანის მიერ საკუთარი ბედნიერების, განვითარების და თავისუფლების პატივისცემასა და მხარდაჭერას. ფრომი დაობდა, რომ საზოგადოების პირველადი წარმოდგენები, რომ ეგოიზმი არის მხოლოდ საკუთარი თავის ინტერესი და გაცემისგან სიამოვნების მიღების უუნარობა, რეალურად სრულიად განსხვავდება საკუთარი თავის სიყვარულის ცნებისგან. ფრომისთვის სიყვარული არის დამოკიდებულება, რომელიც, არსებობის შემთხვევაში, ერთდროულად მიმართულია როგორც ადამიანის შიგნით, ასევე მის გარეთ.

ფრომის მსგავსად, მასლოუც (1943; 1959) აღნიშნავდა, რომ მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ ერთმანეთისგან მკაფიოდ გამოიჯნოს არაჯანსაღი და ჯანსაღი ეგოიზმი, ისევე როგორც, ერთი შეხედვით, ეგოისტური ქცევის ჯანსაღი და არაჯანსაღი მოტივები. ალტრუისტული ქცევები შეიძლება ადამიანმა გამოიყენოს საზოგადოებაში რეპუტაციის მოსაპოვებლად, რაც საბოლოო ჯამში ეგოისტური სტრატეგიაა და აღწერილია ფსიქოპათების შესახებ ჩატარებულ კლინიკურ კვლევებში (Cleckley, 1976). გარდა ამისა, სიკეთის კეთებისას მაყურებლების არარსებობის შემთხვევაშიც კი, ვარაუდობენ, რომ რაიმეს გაცემა მოტივირებულია „გასხივოსნების“ ჯილდოთი, ანუ პოზიტიური განცდით, რომელიც დაკავშირებულია ვენტრალური სტრიატუმის აქტივაციასთან, ტვინის არესთან, რომელიც უკავშირდება ჯილდოთი კმაყოფილებას (Harbaugh et al., 2007). მოცემული კვლევები ამტკიცებს, რომ ეგოიზმი და ალტრუიზმი არ არის პოლარული ცნებები.

კაცობრიობის ისტორია, ისევე როგორც ჰუმანისტი და ფსიქოდინამიკური ფსიქოლოგების ნაშრომები, მიუთითებს რთულ სურათზე: ყველა ეგოიზმი არ არის აუცილებლად ცუდი და ყველა ალტრუიზმი არ არის აუცილებლად კარგი. ამ მოსაზრებით შთაგონებულმა Kaufman & Jauk-მა (2020) გამოყვეს ეგოიზმის ორი

პარადოქსული ფორმა - ჯანსაღი ეგოიზმი (HS) და პათოლოგიური ალტრუიზმი (PA). კვლევებში აღმოჩნდა, რომ HS დაკავშირებული იყო ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის უფრო მაღალ დონესა და ადაპტურ ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებასთან, ისევე როგორც გულწრფელ პროსოციალურ ორიენტაციასთან. PA უკავშირდებოდა არაადაპტურ ფსიქოლოგიურ შედეგებს - მოწყვლად ნარცისიზმს და სხვების დახმარების ეგოისტურ მოტივებს. ეს შედეგები მხარს უჭერს ორივე კონსტრუქტის პარადოქსულ ხასიათს.

როგორც ვხედავთ, ეგოიზმის ცნების პოზიტიური თუ ნეგატიური ბუნების შესახებ უამრავი განსხვავებული შეხედულება არსებობს. ევოლუციური ფსიქოლოგიის, პათოფსიქოლოგიის და განვითარების ფსიქოლოგიის პრინციპებზე დაყრდნობით, Raine & Uh-მა (2018) ერთგვარად შეაჯამეს უკვე არსებული მოსაზრებები და შემოგვთავაზეს ეგოიზმის სპექტრი, რომელიც მოიცავს ეგოიზმის სამ ძირითად ტიპს: ადაპტურს, ეგოცენტრულსა და პათოლოგიურს.

1.1 ადაპტური ეგოიზმი

ადაპტური ეგოიზმი, რომელსაც, ასევე, ჯანსაღი ეგოიზმი შეიძლება ვუწოდოთ, განისაზღვრება, როგორც ეგოისტური ქცევის „უფრო რბილი“ ფორმა და ვარაუდობენ, რომ ეს არის ყველაზე ნაკლებად პათოლოგიური ვარიანტი, რომელიც ეფუძნება ევოლუციურ თეორიასა და სოციალურ ფსიქოლოგიას (Raine & Uh, 2018). სხვა ფორმებისგან განსხვავებით, ადამიანები, ადაპტური ეგოიზმის მაღალი დონით, ზრუნავენ არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ ოჯახსა და მეგობრებზეც. მათი ეგოისტური ქცევები შეიძლება გამართლებული იყოს იმ მოტივით, რომ მსგავსი ეგოიზმით სხვებიც სარგებლობენ – გარკვეულ მომენტებში საკუთარი თავისადმი პრიორიტეტის მინიჭებამ შეიძლება სხვებს სარგებელი მოუტანოს. ევოლუციურ დონეზე, ადამიანის მიერ საკუთარ კეთილდღეობასა და გადარჩენაზე ფოკუსირება შეიძლება განპირობებული ყოფილიყო ოჯახსა და გენეტიკაზე ზრუნვის მოტივით (Dawkins, 2016). მაგალითად, თუ არჩევანის გაკეთება მოუწევთ საკუთარ სიკვდილსა და სხვა პიროვნების მოკვლას შორის, ადაპტურად ეგოისტი ადამიანები საკუთარ სიცოცხლეს აირჩევენ, რათა მათი არყოფნით მათივე ოჯახი არ დაზარალდეს (Raine & Uh, 2018). ადაპტურ ეგოიზმად შეიძლება ჩაითვალოს „თეთრი ტყუილებიც“, რომელიც შეიძლება არაკეთილსინდისიერია, თუმცა სიტუაციურად ხშირად სასარგებლოა, როგორც ტყუილის მთქმელისთვის, ასევე, მსმენელისთვის (Ariely, 2012).

ორმხრივი ალტრუიზმის პერსპექტივიდან (Dawkins, 2016), მეგობრების დახმარება და მათზე ზრუნვა, რათა მომავალში საჭიროების შემთხვევაში ისინიც დაგვეხმარონ, შეიძლება ჩაითვალოს როგორც პოზიტიური, ადაპტური ეგოიზმის ფორმა. როდესაც ადამიანები მხარდაჭერის გაღების შემდეგ მაღლიერებას გრძნობენ, ისინი უფრო დადებითად აღიქვამენ საკუთარ კეთილდღეობას, რამაც შეიძლება

გაზარდოს კარგად ყოფნა და ხელი შეუწყოს პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას (Crocker et al, 2017).

ვინაიდან, ეგოიზმის ადაპტური ფორმა შეიძლება ჩაითვალოს „გადარჩენის“ კარგ საშუალებად როგორც საფრთხის შემცველ, ისე ნაკლებად საზიანო სოციალურ გარემოში, მოსალოდნელია, რომ ის უფრო გავრცელებული იქნება, ვიდრე ეგოიზმის სხვა ფორმები და ასევე, მეტად მოწონებული საზოგადოების მიერ. კვლევის მიხედვით, ადაპტური ეგოიზმი ნაკლებად უკავშირდება პიროვნების ავერსიულ მახასიათებლებს - ანტისოციალურ, ნარცისისტურ და თეატრალურ პიროვნულ აწილობებს, ასევე, ფსიქოპათიას და მაკიაველიზმს (Raine & Uh, 2018).

1.2 ეგოცენტრული ეგოიზმი

ეგოცენტრული ეგოიზმი განისაზღვრება, როგორც მთლიანი და დაუნაწევრებელი ყურადღების მხოლოდ საკუთარ თავზე ფოკუსირება. ეს არის ეგოიზმის მარტივი ფორმა, რომელშიც ადამიანის ქცევები სხვებისთვის, ერთი შეხედვით, არც ხელსაყრელია და არც არახელსაყრელი. ეს ქცევები არ ითვლება არც ანტისოციალურად და არც პროსოციალურად, ვინაიდან სხვა ინდივიდები ადამიანის ფიქრის არეალში იშვიათად ხვდებიან. ასეთ პიროვნებებს არ ადარდებთ არც ინდივიდების და არც საზოგადოების მოთხოვნილებები და ცალსახად არიან ორიენტირებულნი საკუთარ თავზე (Raine & Uh, 2018).

განვითარების ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან, ეგოცენტრიზმმა, როგორც თეორიულმა კონცეფციამ, პოპულარობა მოიპოვა პიაჟეს თეორიით, მან ყურადღება გაამახვილა ბავშვობის ასაკში გამოვლენილ ეგოცენტრიზმზე, რაც გულისხმობს ფუნდამენტურად საკუთარ თავზე ფოკუსირებასა და სხვისი პერსპექტივების გაუთვალისწინებლობას (Piaget, 1951). ზრდასრულთა განვითარების კონტექსტში, სხვების პერსპექტივის მიღების უნარის ნაკლებობა უკავშირდება თანაგრძნობის დაბალ დონეს. აღმოჩნდა, რომ ეგოცენტრული ეგოიზმი მტკიცედაა დაკავშირებული სიტბოს ნაკლებობასთან, დაბალ ალტრუიზმთან, დაბალ ემპათიასა და ნაკლებ დათმობასთან (Raine & Uh, 2018).

1.3 პათოლოგიური ეგოიზმი

პათოლოგიური ეგოიზმი განისაზღვრება, როგორც "მძიმე" ეგოიზმის ფორმა, როდესაც საკუთარი კეთილდღეობისთვის ადამიანი სხვებს აზიანებს (Raine & Uh, 2018). იგი ეყრდნობა ფსიქოპათოლოგიურ თეორიებს და ეგოიზმის სხვა ტიპებთან შედარებით ბუნებით უფრო ანტისოციალურად განიხილება. მაგალითად, ანტისოციალური ქცევა ხშირად საკუთარ კეთილდღეობას ემსახურება, გამოყენებული იქნება ის რესურსების მოსაპოვებლად თუ სხვების დასამორჩილებლად (Leeuwen et al., 2014).

პათოლოგიური ეგოიზმი, სხვა ეგოიზმის ტიპებთან შედარებით, უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ანტისოციალურ, ნარცისისტულ და თეატრალურ პიროვნულ აშლილობებთან, ფსიქოპათიასთან და მაკიაველიზმთან (Raine & Uh, 2018). უფრო კონკრეტულად, ფსიქოპათია არის ჯილდოს მაძიებელი მდგომარეობა, რომლის ძირითადი საფუძველიც, მრავალი მკვლევრის თეორიით, ეგოიზმია, რომელიც შერწყმულია სხვა ადამიანების კეთილდღეობის უგულვებელყოფასთან (Patrick, 2006). ნარცისისტული პიროვნული აშლილობა ხასიათდება ეგოისტური გრანდიოზულობის შეგრძნებით, რომლის ერთ-ერთი დიაგნოსტიკური მახასიათებელიც არის სხვა ადამიანების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება (American Psychiatric Association, 2013). აგრეთვე, თეატრალური პიროვნული აშლილობა მოიცავს ეგოცენტრულ თვისებებს, მათ შორის ყურადღების მიქცევის და გამუდმებით ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილს (American Psychiatric Association, 2013). პათოლოგიური ეგოიზმი მოცემული ფსიქოპათოლოგიური მდგომარეობის ზოგიერთი დიაგნოსტიკური მახასიათებლის მთავარი კომპონენტია, მათ შორის მანიპულირების, სხვების ექსპლუატაციის და ჯილდოს მაძიებელი ქცევის, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ გვაქვს მათთან მაღალი კორელაცია.

2.ემოციური ინტელექტი

1990 წლებიდან პოპულარული გახდა ემოციური ინტელექტის კონსტრუქტი, რომლის ზუსტი განმარტება დღემდე არ არსებობს მისი მრავლისმომცველი ბუნების და მასთან დაკავშირებული კომპლექსური შეხედულებების გამო. მისი ჩამოყალიბების მთავარი საფუძველი გახდა ადამიანთა შორის თვალსაჩინო განსხვავება იმ მახასიათებლის მიხედვით, თუ როგორ შეუძლიათ საკუთარი და სხვათა ემოციების აღქმა, გაგება და მართვა (Mayer, 2008). სამეცნიერო ლიტერატურაში ემოციური ინტელექტის ცნების ორი ძირითადი კონცეპტუალიზაცია გვხვდება: მას განიხილავენ როგორც უნარს (Mayer et al., 1997) და ასევე, როგორც პიროვნულ ნიშანს (Petrides et al., 2007). მოცემულ ორ კონსტრუქტს შორის კონცეპტუალური განსხვავებები ასახულია ემპირიულ კვლევებში, რომლებშიც აღმოჩნდა, რომ ემოციური ინტელექტის როგორც უნარის და როგორც პიროვნული ნიშნის საზომებს შორის კორელაცია ძალიან სუსტია (O'Connor & Little, 2003).

უნარის მოდელის მიმდევარი მკვლევრები, ემოციურ ინტელექტს მიიჩნევენ ემოციების შესახებ მსჯელობის, ემოციური ცოდნისა და აზროვნების პროცესის გაძლიერებისთვის ემოციების გამოყენების კოგნიტურ უნარად (Mayer et al., 1997). ყველაზე დომინანტური უნარის მოდელში (Mayer et al., 1997) გამოყოფილია ემოციური ინტელექტის ოთხი ძირითადი ფაქტორი: ემოციების აღქმა, ფასილიტაცია, გაგება და მართვა. ემოციების აღქმა გულისხმობს საკუთარი ან სხვა ადამიანების ან ობიექტებით გადმოცემული (მაგ., ხელოვნებით) ემოციების

იდენტიფიკაციას. ემოციების ფასილიტაცია არის ემოციების გამოყენება აზროვნების პროცესის გასაადვილებლად, მაგალითად, იმის ცოდნა, თუ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისას რომელი გუნება-განწყობილების ქონა გვეხმარება. ემოციების გაგება გულისხმობს იმის გაგებას, თუ როგორ აღმოცენდება გარკვეული ემოციები და როგორ იცვლება ისინი დროთა განმავლობაში. ხოლო ემოციების მართვა არის საკუთარი და სხვათა ემოციების მართვის უნარი, მაგალითად, სტრესთან გამკლავება ან განაწყენებული მეგობრის დამშვიდება.

ემოციურ ინტელექტს, როგორც პიროვნულ ნიშანს, ავტორები განიხილავენ დისპოზიციურ ნიშნად, რომელიც პიროვნების სფეროს ნაწილს წარმოადგენს და ქმნის ემოციებთან დაკავშირებულ პიროვნულ ასპექტებს (Petrides et al., 2007). მოცემული მოდელები მოიცავენ ისეთ ტრადიციულ პიროვნულ ნიშნებს, როგორებიცაა ემპათია, ოპტიმიზმი, თვითრწმენა, სტრესისადმი ტოლერანტობა, ასერტიულობა და სხვ. (Riggio, 2010). როგორც ვხედავთ, ემოციური ინტელექტის ორივე, როგორც უნარის და როგორც პიროვნული ნიშნის, მოდელებისთვის დამახასიათებელია ის, რომ ერთმანეთისგან განასხვავებს ორ ფართო კატეგორიას: ინტრაპერსონალურ და ინტერპერსონალურ ინტელექტს, საკუთარ თავთან და სხვებთან დაკავშირებულ ემოციურ უნარებს. ემპირიული კვლევები ინტერპერსონალურ და ინტრაპერსონალურ ემოციურ უნარებს შორის კონცეპტუალურ განხვავებას ადასტურებს (მაგ, იხ. Freudenthaler & Neubauer, 2005).

ემოციური ინტელექტი ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს ფარავს და, შესაბამისად, მჭიდროდაა დაკავშირებული სუბიექტური კარგად ყოფნის განცდასთან (Sánchez-Álvarez et al., 2016) და როგორც ფსიქიკურ, ისე ფიზიკურ ჯანმრთელობასთან (Martins et al., 2010). ემოციური ინტელექტის ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან კავშირი უფრო მაღალია, ვიდრე ფიზიკურთან, ვინაიდან, სავარაუდოა, რომ მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანები უკეთ ახერხებენ სტრესის მართვას, რაც პირდაპირ უკავშირდება ფსიქიკურ ჯანმრთელობას. რაც შეეხება ფიზიკურ ჯანმრთელობას, ემოციური ინტელექტის მასთან კავშირი შეიძლება გაშუალებული იყოს ჯანმრთელობის ხელშემწყობი ქცევებით, მაგალითად, მაღალი ემოციური ინტელექტი ნეგატიურად უკავშირდება მოწევასა და ალკოჰოლის მოხმარებას და პოზიტიურად – ვარჯიშს (Tsaousis & Nikolaou, 2005). გარდა ამისა, ემოციური ინტელექტი დაკავშირებულია სამსახურეობრივ წარმატებასთან (O'Boyle et al, 2011).

ემოციური ინტელექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური ინტერაქციებისთვის, რადგან ემოციებს ევოლუციურად კომუნიკაციური და სოციალური ფუნქციები აქვს, გვეხმარება ადამიანთა აზრებისა და განზრახვების წაკითხვაში და წარმართავს სოციალურ ინტერაქციებს (Keltner & Haidt, 2001). ლოგიკურია, რომ იგი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ურთიერთობებით კმაყოფილებასთან. მეტანალიზურმა კვლევამ (Malouff et al., 2014) მაღალი კორელაცია აჩვენა ემოციურ ინტელექტსა და რომანტიკული ურთიერთობებით

კმაყოფილებას შორის, როგორც თვითანგარიშის ტიპის კითხვარებით, ასევე, პარტნიორებისგან მიღებული მონაცემების საფუძველზე. მოცემულ შედეგს მრავალი ახსნა შეიძლება მოეძებნოს, მაგალითად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საკუთარი და სხვათა ემოციების სწორად გაგება იწვევს ემოციურად უფრო თავსებადი პარტნიორების პოვნას; აგრეთვე, კომპეტენტური ემოციური ქცევებით შეეძლება ჩამოაყალიბონ და შეინარჩუნონ სასიამოვნო ურთიერთობები; ემოციური უნარები პარტნიორმა შეიძლება დაკვირვების შედეგად ისწავლოს, რაც კიდევ უფრო გაზრდის ურთიერთობით კმაყოფილებას (Malouff et al., 2014). ერთ-ერთმა კვლევამ (Schroder-Abe & Schutz, 2011) აჩვენა, რომ ემოციურ ინტელექტსა და ურთიერთობით კმაყოფილებას შორის კავშირი გამუალეხული იყო სიტუაციის სხვა ადამიანთა პრესპექტივიდან შეხედვის უნარით. ასევე, აღმოაჩინეს, რომ ემოციური ინტელექტი დაკავშირებული იყო უფრო კონსტრუქციულ და ეფექტურ კომუნიკაციის უნარებთან (Smith et al., 2008). მოცემული შედეგების მიხედვით, ემოციური ინტელექტი შეიძლება მოქმედებდეს როგორც ურთიერთობის შემანარჩუნებელი და განმავითარებელი რესურსი. ამ და სხვა მიზეზების გამო მრავალმა კვლევამ დაადგინა, რომ ემოციური ინტელექტის უნარების გავარჯიშება იწვევს ახლო ურთიერთობების გაუმჯობესებას (მაგ, Nelis et al., 2011).

გარდა რომანტიკული ურთიერთობებისა, ემოციური ინტელექტი დიდ როლს ასრულებს მეგობრული ურთიერთობების კონტექსტშიც. ემოციური ინტელექტის მაღალი ქულა დაკავშირებულია კარგი სოციალური ადაპტაციის რამდენიმე ინდიკატორთან, მაგალითად, მეგობრებთან მცირე ნეგატიურ ინტერაქციებთან (Brackett et al., 2004), მაღალ ემპათიასთან (Ciarrochi et al., 2000) და სხვ. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, სტუდენტები, რომლებსაც ემოციების მართვის მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ, ავლენდნენ ნაკლებ კონფლიქტურობასა და ანტაგონიზმს მეგობრებთან და, ასევე, მეტ მზრუნველობასა და მხარდაჭერას მშობლებთან Lopes et al., 2003). კიდევ ერთ კვლევაში (Lopes et al., 2004) დადასტურდა, რომ ემოციური ინტელექტის მართვის კომპონენტი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სოციალური ურთიერთობების მაჩვენებლებთან, რომლებიც მიღებული იყო როგორც თვითანგარიშის ტიპის კითხვარებით, ასევე, რესპოდენტებთან სხვადასხვა ტიპის ურთიერთობებით დაკავშირებული ადამიანების გამოკითხვით. ემოციების მართვის უნარი ხელს უწყობს სასიამოვნო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ვინაიდან აძლიერებს დადებით ემოციებს, ხელს უშლის კონფლიქტისა და დამაბულობის წარმოშობას და არეგულირებს კოგნიტურ, განსაკუთრებით აღმასრულებელ ფუნქციებს (Lopes et al., 2004). მაშასადამე, ემოციური ინტელექტი გვხმარება სოციალურ ფუნქციონირებაში და ინტერპერსონალურ ურთიერთობებში მეტად კომპეტენტურს გვხდის. ინტერპერსონალური ურთიერთობები კი ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან მიკუთვნებულობის, სიახლოვის და კომუნიკაციის მოთხოვნილებებს გვიკმაყოფილებს.

3. ინტერპერსონალური კომპეტენციები

ინტერპერსონალური კომპეტენციის ცნება სათავეს თორნდაიკის (1920) და სხვა მეცნიერთა თეორიებიდან იღებს და ხშირად სოციალურ ინტელექტად იწოდება. თორნდაიკი სოციალურ ინტელექტს განმარტავდა, როგორც სხვა ადამიანთა გაგების და მათთან მიმართებით გონივრულად მოქცევის უნარს (Spitzberg & Cupach, 2012). მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ცნება სხვადასხვა მეცნიერისთვის განსხვავებულ შინაარსს მოიცავს, დღესაც მისი ზოგადი განმარტება გულისხმობს ადამიანებთან ეფექტურად ინტერაქციის უნარს (Bochner & Kelly, 1974). ორი მახასიათებელი, რომელიც ასახულია მოცემული ცნების თითქმის ყველა კონცეპტუალიზაციაში, არის ეფექტურობა და მისაღებობა, ანუ ინტერპერსონალური კომპეტენციების მქონე ადამიანი მოქმედებს ეფექტურად და ემორჩილება სოციალურ ნორმებს (Spitzberg & Cupach, 2012).

როგორც უკვე აღვნიშნე, მეცნიერებს შორის არსებობს განსხვავებული შეხედულებები, თუ კონკრეტულად რომელ მახასიათებლებს მიიჩნევენ სოციალური კომპეტენციის ნაწილად. ბარმესტერმა და სხვებმა (1988) ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყვეს სოციალურ სიტუაციებთან გასამკლავებელი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენცია, ესენია: ურთიერთობის ინიციატივა, თვითგამოხატვა, სხვათა ქმედებით გამოწვეული უკმაყოფილების გამოხატვა, ემოციური მხარდაჭერის უზრუნველყოფა და ინტერპერსონალურ კონფლიქტებთან გამკლავება.

მოცემული ხუთი კომპეტენცია ერთმანეთთან ძლიერად არ იყო დაკავშირებული, რამაც შეიძლება მოგვცეს საშუალება, ვივარაუდოთ, რომ სოციალური კომპეტენციები კონტექსტურად სპეციფიკურია და შეიძლება ადამიანები სოციალური ქცევის ერთ სფეროში კომპეტენტურები იყვნენ, ხოლო მეორეში – არა. სხვა კუთხით რომ შევხედოთ, ადამიანებს, რომლებიც დახელოვნებული არიან ერთ სფეროში, შეიძლება მეტი შესაძლებლობა მიეცეთ, განვითარდნენ სხვა სფეროებშიც, მაგალითად, მათ, ვისაც შეუძლიათ ურთიერთობების წარმატებულად წამოწყება, უფრო მეტად ექნებათ შესაძლებლობა, რომ განვითარონ ემოციური მხარდაჭერის ან კონფლიქტის მართვის კომპეტენცია (Buhrmester et al., 1988).

ურთიერთობის ინიციატივა და უკმაყოფილების გამოხატვა ასერტიულობის ცნებასთან არის დაკავშირებული. დანარჩენი სამი კი კლასიფიცირებულია, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინტერპერსონალური ურთიერთობების გაღრმავებისა და შენარჩუნებისთვის (Klinkosz et al, 2021). ინიციატივის გამოჩენის კომპეტენცია მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ ექსპრესიულობასთან, კონტროლთან და ისეთ უნარებთან, რომლებიც გულისხმობს განსხვავებული როლების მორგებას სიტუაციის მოთხოვნების შესაბამისად, განსაკუთრებულად ლიდერის როლის მორგებას. ინიციატივა უარყოფითად არის დაკავშირებული სოციალურ მგრძობიარობასთან, ვინაიდან უფრო მაღალია შფოთვა, რომ ადამიანები არასწორ ინტერპრეტაციებს გაუკეთებენ. მსგავსად, უკმაყოფილების

გამოხატვის კომპეტენცია დადებითად იყო დაკავშირებული სოციალური კონტროლის უნართან და უარყოფითად – სოციალურ მგრძობელობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კომპეტენცია გულისხმობს კონტროლის სურვილს, ინიციატივის გამოჩენის კომპეტენცია გულისხმობს საკუთარი თავის გამოხატვის უფრო დიდ ვერბალურ და არავერბალურ უნარს (Buhrmester et al., 1988).

აღმოჩნდა, რომ კვლევის მონაწილეები საზოგადოდ სოციალურად ნაკლებად კომპეტენტურად გრძობდნენ თავს რომანტიკულ პარტნიორებთან ურთიერთობისას, ვიდრე იმავე სქესის მეგობრებთან. თუმცა კომპეტენციების მიხედვით გამოვლინდა სქესთა შორის განსხვავებები. ემოციური მხარდაჭერის თვალსაზრისით, როგორც მეგობრებთან, ისე რომანტიკულ პარტნიორებთან ურთიერთობისას ქალები უფრო კომპეტენტურად გრძობდნენ თავს, ვიდრე მამაკაცები. ამის ახსნა შეიძლება იყოს ის, რომ ემოციური მხარდაჭერის ორ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს თანაგრძობა და მზრუნველობა. კვლევების მიხედვით, ამ მახასიათებლებში ქალები უფრო კომპეტენტურნი არიან, ვიდრე მამაკაცები (Spence & Helmreich, 1978). მეორე მხრივ, ქალები აცხადებდნენ, რომ თავს ნაკლებად კომპეტენტურად გრძობდნენ ურთიერთობებში ინიციატივის გამოჩენისას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ჰეტეროსექსუალური ურთიერთობის კულტურული ნორმებით. გარდა ამისა, ქალები მეტად იყვნენ მიდრეკილი, რომ საკუთარი თავი გამოეხატათ ურთიერთობებში და ეს მაჩვენებელი იზრდებოდა, თუ მეგობარი/პარტნიორიც მდებარეობდა იმავე სქესის იყო. შედეგებმა აჩვენა, რომ ორივე სქესის წარმომადგენლები თავს მეტად კომფორტულად გრძობდნენ, როდესაც საკუთარ ნამდვილ სახეს ქალებთან წარმოაჩენდნენ (Buhrmester et al., 1988).

გარკვეული კანონზომიერებები გამოვლინდა ინტერპერსონალურ კომპეტენციებსა და იმ პიროვნულ თვისებებს შორის, რომლებითაც თანატოლები ერთმანეთს აფასებდნენ. აღმოჩნდა, რომ ინიციატივის კომპეტენციას უკავშირებდნენ სითბოს, ექსტრავერსიას, სოციალურობას და თავდაჯერებას; ასერტიულობა დაკავშირებული იყო დომინანტურობასთან და ექსტრავერსიასთან; ემოციური მხარდაჭერას აკავშირებდნენ მგრძობიარობასთან და სითბოსთან; კონფლიქტის მენეჯმენტს კი – სითბოსთან, მგრძობიარობასა და არადომინანტურობასთან. ეს შედეგები მსგავსი იყო როგორც ახალგაზრდობის ადამიანებთან, ისე – ახლო მეგობრებთან (Buhrmester et al., 1988).

სოციალურად კომპეტენტური ადამიანები აჩვენებდნენ კარგად ყოფნის მაღალ და დეპრესიის, შფოთვისა და მარტოობის დაბალ მაჩვენებლებს (Buhrmester et al., 1988). შესაძლოა იმიტომ, რომ ისინი უკეთ ახერხებენ თავიანთი ცხოვრებისეული მოვლენების მართვას და, შესაბამისად, უფრო ბედნიერად და უპრობლემოდ ცხოვრობენ. ასევე, სოციალური უნარების დახმარებით უკეთ გამოსდით მიკუთვნებულობისა და კომუნიკაციის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

კვლევის საკითხის დასმა

რეინისა და აჰის თეორიის მიხედვით, არსებობს სამი ტიპის ეგოიზმი: ადაპტური, ეგოცენტრული და პათოლოგიური (Raine & Uh, 2018). ადაპტური ეგოიზმი წარმოადგენს საკმაოდ ახალ კონცეფციას, რომელიც თეორიულად ჯანსაღ და პოზიტიურ შინაარსს მოიცავს. ავტორების აზრით, ადაპტურად ეგოისტი ადამიანები საზოგადოებისგან პოზიტიურად აღიქმებიან, თუმცა, საინტერესოა, რეალურად რამდენად სურს საზოგადოებას მსგავს ადამიანებთან ურთიერთობა – აქვთ თუ არა ადაპტურად ეგოისტი ადამიანებს მაღალი ემოციური ინტელექტი და ისეთი ინტერპერსონალური კომპეტენციები, რომლებიც მათთან ურთიერთობას სასიამოვნოს და დამაკმაყოფილებელს გახდის. თუ დავუჯერებთ ფრომის (1939) მოსაზრებას, რომ სიყვარული არის დამოკიდებულება, რომელსაც ადამიანი ერთდროულად მიმართავს როგორც საკუთარი თავისკენ, ასევე, სხვებისკენ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადაპტურად ეგოისტი ადამიანებს შეიძლება მეტი სიყვარულის უნარიც კი ჰქონდეთ. მათთან ურთიერთობა, გარკვეულწილად, შეიძლება სტაბილურობის განცდასაც კი გვიჩენდეს, ვინაიდან შეგვიძლია, დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენზე იზრუნებენ, რადგან შემდგომ საკუთარი თავისთვისაც ელიან სარგებელს. ადამიანთა სოციალურ სისტემაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ურთიერთგაცვლის სოციალურ პრინციპზე აიგო, არ არის გასაკვირი, რომ ყველა ადამიანში არსებობდეს ეგოიზმის მსგავსი მოტივები. კვლევები აჩვენებს, რომ არ არსებობს სრულიად ალტრუისტული კეთილი საქმეც კი, ყველა მათგანს მოსდევს კმაყოფილების გრძნობა, რომელიც ჩვენვე გვსიამოვნებს, შესაბამისად, იგი სანაცვლოს უკან მიღებადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ (Harbaugh et al, 2007). სწორედ ამის გამო საჭიროა, დავადგინოთ ის ხარისხი, რომლითაც ეგოიზმი ადამიანს ადაპტაციაში ეხმარება და, შედეგად, ხელი შეუწყობს საკუთარი თავის ჯანსაღ სიყვარულს.

კვლევის მიზანია, დავადგინოთ მოგვცემს თუ არა ეგოიზმის მოცემული სამი სხვადასხვა ტიპი ინტერპერსონალურ კომპეტენციებთან მიმართებით განსხვავებას და როგორ დაუკავშირდებიან ისინი ემოციურ ინტელექტს. შესაბამისად, საკვლევი კითხვა არის ის, თუ რა კავშირია ეგოიზმს, ინტერპერსონალურ კომპეტენციებსა და ემოციურ ინტელექტს შორის.

ვვარაუდობთ, რომ ეგოიზმის პათოლოგიური ტიპი უარყოფითად იქნება დაკავშირებული როგორც ემოციურ ინტელექტთან, ისე – ინტერპერსონალურ კომპეტენციებთან, ვინაიდან პათოლოგიურ ეგოიზმსა და მაკიაველიზმს შორის ძლიერი კორელაციაა და კვლევების მიხედვით (იხ. მაგ., Pilch, 2008), მაკიაველიზმი უარყოფითად არის დაკავშირებული ემოციურ ინტელექტსა და ინტერპერსონალურ კომპეტენციებთან. ამის საპირისპიროდ, ადაპტური ეგოიზმი, სავარაუდოდ, დადებითად იქნება დაკავშირებული ინტერპერსონალურ კომპეტენციებთან, რადგან, კვლევის მიხედვით (Raine & Uh, 2018), აღმოჩნდა, რომ ამ ტიპის ეგოიზმი ხალხის მიერ მოწონებულია. მსგავსი ლოგიკით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ

ადაპტურ ეგოიზმსა და ემოციურ ინტელექტს შორისაც დადებითი კავშირი უნდა იყოს. რაც შეეხება ეგოცენტრულ ეგოიზმს, სავარაუდოდ, მას უარყოფითი კორელაცია უნდა ჰქონდეს როგორც ემოციურ ინტელექტთან, ასევე, ინტერპერსონალურ კომპეტენციებთან, რადგან ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ეგოცენტრული ეგოიზმი დაკავშირებული იყო სხვათა პერსპექტივების დანახვის სირთულესთან, ასევე, დაბალ ემპათიასთან და ნაკლებ დათმობებთან (Raine & Uh, 2018).

კვლევის მეთოდი

კვლევის მონაწილეები და პროცედურა

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 135-მა ადამიანმა, 91-მა ქალმა (67.4%) და 44-მა მამაკაცმა (32.6%), რომელთა ასაკიც წარმოდგენილი იყო 19-დან 76 წლამდე ($M=29.24$, $SD=13.02$). გამოყენებულ იქნა ხელმისაწვდომობის შერჩევა. მონაწილეებს ინტერნეტის საშუალებით დაეგზავნათ საკვლევი კითხვარები.

კვლევის ინსტრუმენტები

მოსამზადებელი ეტაპი

მოცემული კვლევის ფარგლებში შეიქმნა ორი კითხვარის, ეგოიზმის საკვლევი კითხვარისა (Raine & Uh, 2019) და ინტერპერსონალური კომპეტენციების საკვლევი კითხვარის (Buhrmester et al, 1988) ქართული სამუშაო ვერსია. კითხვართა ვალიდაციისთვის, თავდაპირველად, შემუშავდა ორივე კითხვარის ორმაგი თარგმანი და საპილოტე ეტაპზე გამოიკითხა 20-20 ადამიანი. სტატისტიკური ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ორივე კითხვარის სანდოობა იყო დამაკმაყოფილებელი: როგორც ეგოიზმის საკვლევი კითხვარის შინაგანი კონსისტენტურობა ($\alpha = .73$; ეგოცენტრულის $\alpha = .61$; ადაპტურის $\alpha = .27$; პათოლოგიურის $\alpha = .40$), ასევე, ინტერპერსონალური კომპეტენციების საკვლევი კითხვარისა ($\alpha = .83$). აგრეთვე, მაღალი იყო კომპეტენციების ცალკეული სკალების სანდოობა: ურთიერთობის ინიციატივის $\alpha = .77$, თვითგამოხატვის $\alpha = .77$, სხვათა ქმედებით გამოწვეული უკმაყოფილების გამოხატვის $\alpha = .83$, ემოციური მხარდაჭერის უზრუნველყოფის $\alpha = .87$ და კონფლიქტების გამკლავების $\alpha = .61$. მიუხედავად ძირითად კვლევამდე საპილოტე კვლევების ჩატარებისა, მოცემული კითხვარები მაინც საპილოტე ვერსიებია და საჭიროებს მეტ მონაცემზე დაყრდნობით ვალიდაციას.

ეგოიზმი

ეგოიზმი გაიზომა ეგოიზმის საკვლევი კითხვარით (Raine & Uh, 2019), რომელიც თვითნაგარიშის ტიპის საკვლევი ინსტრუმენტია და მოიცავს 24 დებულებას. დებულებები ფასდება ლიკერტის ტიპის 1-დან (*არ ვეთანმები*) 3-მდე (*ვეთანმები*) სკალაზე და საშუალებას იძლევა გავზომოთ ეგოიზმის 3 სუბსკალა: ეგოცენტრული ეგოიზმი ($\alpha = .65$), ადაპტაციური ეგოიზმი ($\alpha = .61$) და პათოლოგიური ეგოიზმი ($\alpha = .75$). გარდა ამისა, კითხვარი საშუალებას იძლევა, შევაფასოთ ეგოიზმის მთლიანი, ჯამური მაჩვენებელი ($\alpha = .85$).

ემოციური ინტელექტი

ემოციური ინტელექტის საკვლევად გამოვიყენეთ ემოციური კომპეტენციების საკვლევი ტესტი (Freudenthaler & Neubauer, 2005), რომელიც ზომავს საკუთარი ემოციების (ინტრაპერსონალური, 18 დებულება) და სხვათა ემოციების მართვის (ინტერპერსონალური, 24 დებულება) უნარებს. იგი წარმოადგენს ტიპურ შესრულებაზე დაფუძნებულ ემოციური ინტელექტის, როგორც უნარის საზომს. თითოეულ დებულებაში მოცემულია ემოციური სიტუაციების მოკლე აღწერილობა და ამ სიტუაციებთან გამკლავების ოთხი ალტერნატიული პასუხი. მონაწილეებს ევალებათ, აირჩიონ, თავად როგორ მოიქცეოდნენ თითოეულ სიტუაციაში. მონაწილეების ქულები დათვლილია მოცემული შერჩევის ($N=350$) შედეგების მიხედვით შემუშავებული გასაღებით, ანუ, პასუხების სისწორე განისაზღვრა კონსენსუსის ქულების მიხედვით, რომლებიც გამოითვლება პოპულაციის ნორმატიული მაჩვენებლების საფუძველზე. კითხვარის შინაგანი კონსისტენტურობის მაჩვენებელი იყო $\alpha = .65$, ინტრაპერსონალური ინტელექტის $\alpha = .38$, ხოლო ინტერპერსონალურის $\alpha = .61$.

ინტერპერსონალური კომპეტენციები

გამოყენებული იყო ინტერპერსონალური კომპეტენციების საკვლევი კითხვარი (Buhrmester et al, 1988), რომელიც მოიცავს 40 დებულებას პასუხის ხუთი ვარიანტით (*ძალიან ცუდად გამომდის; ცუდად გამომდის; გამომდის; კარგად გამომდის; ძალიან კარგად გამომდის*). მოცემულ კითხვარს ჰქონდა საკმაოდ მაღალი სანდოობა ($\alpha = .90$). კითხვარს აქვს ხუთი სუბსკალა: ურთიერთობის ინიციატივა ($\alpha = .85$), თვითგამოხატვა ($\alpha = .74$), სხვათა ქმედებით გამოწვეული უკმაყოფილების გამოხატვა ($\alpha = .85$), ემოციური მხარდაჭერის უზრუნველყოფა ($\alpha = .85$) და ინტერპერსონალურ კონფლიქტებთან გამკლავება ($\alpha = .74$).

შედეგები

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS. ემოციური ინტელექტის, ეგოიზმისა და ინტერპერსონალური კომპეტენციების ინსტრუმენტების აღწერითი სტატისტიკისა და სანდოობის მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში N1.

ცხრილი N1. აღწერითი სტატისტიკა და სანდოობის მაჩვენებლები

	საერთო				კაცები				ქალები			t
	N	α	M	SD	α	M	SD	α	M	SD		
ინტერპერსონალური კომპეტენციები												
მთლიანი მაჩვენებელი	40	.90	136.96	20.6	.90	135.0	20.8	.90	137.9	20.6	-0.76	
				9		0	1		0	7		
ურთიერთობის ინიციატივა	8	.85	26.34	6.68	.86	26.39	6.62	.84	26.32	6.75	.05	
თვითგამოხატვა	8	.74	24.31	5.75	.73	23.25	5.73	.75	24.82	5.72	-1.49	
უკმაყოფილების გამოხატვა	8	.85	25.96	6.62	.82	26.77	5.81	.87	25.56	6.97	.99	
ემოციური მხარდაჭერა	8	.85	31.96	5.32	.79	30.89	5.16	.87	32.48	5.35	-1.64	
კონფლიქტების გამკლავება	8	.74	28.39	5.42	.73	27.70	5.30	.74	28.71	5.47	-1.01	
ეგოიზმი												
მთლიანი მაჩვენებელი	24	.85	17.60	8.30	.83	20.93	8.03	.84	15.99	7.98	3.36 ***	
ეგოცენტრული	8	.65	5.27	3.00	.66	6.55	3.05	.60	4.66	2.79	3.56 ***	
ადაპტაციური	8	.61	7.48	3.10	.60	8.57	3.04	.59	6.96	3.01	2.90 **	
პათოლოგიური	8	.75	4.84	3.56	.72	5.82	3.43	.76	4.37	3.54	2.24 *	
ემოციური ინტელექტი												
მთლიანი მაჩვენებელი	42	.65	132.12	10.3	.68	129.1	11.1	.61	133.5	9.71	-2.34 *	
				8		6	9		5			
ინტრაპერსონალური	18	.38	56.96	5.10	.48	56.61	5.57	.38	57.12	4.88	-.54	
ინტერპერსონალური	24	.61	75.16	7.47	.58	72.55	7.49	.60	76.43	7.16	-2.90 **	

შენიშვნა: *** $p \leq .001$; ** $p \leq .01$; * $p \leq .05$.

სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა ცალკეული სკალების მიხედვით სქესთა შორის განსხვავებებიც (ცხრილი N1). კერძოდ: ეგოიზმის სკალის ჯამური მაჩვენებელი უფრო მაღალია კაცებთან ($M = 20.93$, $SD = 8.03$), ვიდრე ქალებთან ($M = 15.99$, $SD = 7.98$), $t(133) = 3.36$, $p \leq .001$). ასევე, მსგავსი განსხვავებები ვლინდება ეგოიზმის ყველა სუბსკალაში: ეგოცენტრული ეგოიზმის სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალია

კაცებთან ($M = 6.55$, $SD = 3.05$), ვიდრე ქალებთან ($M = 4.66$, $SD = 2.79$), $t(133) = 3.56$, $p \leq .001$); ადაპტაციური ეგოიზმის სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალია კაცებთან ($M = 8.57$, $SD = 3.04$), ვიდრე ქალებთან ($M = 6.96$, $SD = 3.01$), $t(133) = 2.90$, $p \leq .01$); და პათოლოგიური ეგოიზმის სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალია კაცებთან ($M = 5.82$, $SD = 3.43$), ვიდრე ქალებთან ($M = 4.37$, $SD = 3.54$), $t(133) = 2.24$, $p \leq .05$).

გარდა ამისა, სქესთაშორისი განსხვავებები დაფიქსირდა ემოციური ინტელექტის სკალაზეც, კონკრეტულად: ემოციური ინტელექტის ჯამური მაჩვენებელი უფრო მაღალია ქალებთან ($M = 133.55$, $SD = 9.71$), ვიდრე კაცებთან ($M = 129.16$, $SD = 11.19$), $t(133) = -2.34$, $p \leq .05$). განსხვავება არ გამოვლინდა ინტრაპერსონალური ემოციური ინტელექტის შემთხვევაში თუმცა აღმოჩნდა, რომ ინტერპერსონალური ემოციური ინტელექტის მაჩვენებელი უფრო მაღალია ქალებთან ($M = 76.43$, $SD = 7.16$), ვიდრე კაცებთან ($M = 72.55$, $SD = 7.49$), $t(133) = -2.90$, $p \leq .01$). ინტერპერსონალურ კომპეტენციებში სქესთა შორის განსხვავებები სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა.

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი) აღმოჩნდა, რომ ინტერპერსონალური კომპეტენციების ცალკეულ სკალებს, ეგოიზმსა და ემოციურ ინტელექტს შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი (იხ. ცხრილი N2), კერძოდ: ემოციური ინტელექტი უარყოფითად კორელირებს როგორც ეგოიზმის მთლიან მაჩვენებელთან ($r = -.25$, $p < .01$), ასევე, ეგოიზმის თითოეულ ტიპთან: ადაპტაციურთან ($r = -.18$, $p < .05$), ეგოცენტრულთან ($r = -.27$, $p < .01$) და პათოლოგიურთან ($r = -.19$, $p < .05$). საინტერესოა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია მივიღეთ ეგოიზმის ყველა სახესა და ემოციურ ინტელექტს შორის, თუმცა გამონაკლისია ინტრაპერსონალური ემოციური ინტელექტი, რომელიც არცერთ ცვლადთან არ კორელირებს მნიშვნელოვნად, გარდა ინტერპერსონალური კომპეტენციების ურთიერთობის ინიციატივის ცალკეული სკალისა ($r = .20$, $p < .05$). ინტრაპერსონალური კომპეტენციებიდან გამოირჩევა ემოციური მხარდაჭერის სკალა, რომელიც დადებითად კორელირებს როგორც ემოციური ინტელექტის მთლიან მაჩვენებელთან ($r = .23$, $p < .01$), ისე ინტერპერსონალურ ინტელექტთან ($r = .26$, $p < .01$).

ცხრილი N2. კორელაციები

	(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)	(7)	(8)	(9)	(10)	(11)	(12)	(13)
ეგოიზმი													
ჯამური		.83**	.86**	.87**	-	.08	.07	.12	-	-	-	-.14	-
მაჩვენებელი (1)					.01				.18*	.21*	.25**		.25**
ეგოცენტრული (2)			.60**	.57**	-	.01	.00	.09	-	-	-	-.15	-
					.09				.25**	.25**	.27**		.27**
ადაპტაციური (3)				.63**	-	.05	.10	.09	-.16	-	-	-.11	-
					.01					.19*	.18*		.17*
პათოლოგიური (4)					.05	.13	.07	.11	-.06	-.11	-	-.11	-
											.19*		.19*
ინტერპერსონალური კომპეტენციები													
ჯამური						.68**	.70**	.75**	.69**	.62**	.17*	.12	.16
მაჩვენებელი(5)													
თვითგამოხატვა (6)							.46**	.37**	.25**	.27**	.03	.03	.02
ურთიერთობის								.45**	.29**	.11	.17*	.20*	.10
ინიციატივა (7)													
უკმაყოფილების									.39**	.30**	.08	.06	.07
გამოხატვა (8)													
ემოციური										.56**	.23**	.08	.26**
მხარდაჭერა (9)													
კონფლიქტების											.10	.01	.13
გამკლავება (10)													
ემოციური													
ინტელექტი													
ჯამური												.73**	.88**
მაჩვენებელი (11)													
ინტრაპერსონალური													.34**
(12)													
ინტერპერსონალური													
(13)													

შენიშვნა: * $p \leq .01$; * $p \leq .05$.

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ ეგოიზმის სტილების მოდელი ხსნის ემოციური ინტელექტის ჯამურ მონაცემთა ვარიაციულობის 8%-ს $R^2_{ADJ} = .06$, $F(3,131)=3.60$, $p<.05$). აღნიშნული მოდელიდან მხოლოდ ეგოცენტრული ეგოიზმი ($\beta = -.24$, $p<.05$) აღმოჩნდა ემოციური ინტელექტის სანდო უარყოფითი პრედიქტორი (იხ. ცხრილი N3).

ასევე, მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ ეგოიზმის სტილების მოდელი ხსნის ინტერპერსონალური ემოციური ინტელექტის ჯამურ მონაცემთა ვარიაციულობის 8% $R^2_{ADJ} = .06$, $F(3,131)=3.68$, $p<.05$). აღნიშნული მოდელიდან მხოლოდ ეგოცენტრული ეგოიზმი (β

= -.24, $p < .05$) აღმოჩნდა ინტერპერსონალური ინტელექტის სანდო უარყოფითი პრედიქტორი (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3: რეგრესიები ემოციურ ინტელექტსა და ეგოიზმს შორის

	ემოციური ინტელექტი			ინტრაპერსონალური			ინტერპერსონალური		
	B	SE	β	B	SE	β	B	SE	β
ეგოცენტრული	-.81	.38	-.24*	-.21	.19	-.12	-.60	.28	-.24*
ადაპტაციური	-.02	.39	-.01	-.04	.20	-.02	.02	.28	.01
პათოლოგიური	-.17	.33	-.06	-.04	.17	-.02	-.13	.23	-.06
R^2	.08			.02			.08		
F	3.60*			1.08			3.68*		

შენიშვნა: * $p \leq .05$.

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ ემოციური ინტელექტის მოდელი ხსნის ურთიერთობის ინიციატივის ვარიაციის 4% $R^2_{ADJ} = .03$, $F(2,132) = 3.01$, $p = .05$). ინტრაპერსონალური ემოციური ინტელექტი ($\beta = .20$, $p < .05$) აღმოჩნდა ურთიერთობის ინიციატივის სანდო პრედიქტორი (იხ. ცხრილი N4). აგრეთვე, აღმოჩნდა, რომ ემოციური ინტელექტის მოდელი ხსნის ემოციური მხარდაჭერის ვარიაციის 7% $R^2_{ADJ} = .07$, $F(2,132) = 4.99$, $p < .01$). ინტერპერსონალური ემოციური ინტელექტი ($\beta = .26$, $p < .01$) აღმოჩნდა ემოციური მხარდაჭერის სანდო პრედიქტორი.

ცხრილი N4: რეგრესიები ემოციურ ინტელექტსა და ინტერპერსონალური კომპეტენციების სკალებს შორის

	ურთიერთობის ინიციატივა			ემოციური მხარდაჭერა		
	B	SE	β	B	SE	β
ინტრაპერსონალური ემოციური ინტელექტი	.25	.12	.20*	-.01	.09	-.01
ინტერპერსონალური ემოციური ინტელექტი	.03	.08	.03	.19	.06	.26**
R^2	.04			.07		
F	3.01*			4.99**		

შენიშვნა: ** $p \leq .01$; * $p \leq .05$.

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ ეგოიზმის სტილების მოდელი ხსნის ემოციური მხარდაჭერის ვარიაციულობის 8% $R^2_{ADJ} = .06$, $F(3,131)=3.76$, $p<.05$). აღნიშნული მოდელიდან მხოლოდ ეგოცენტრული ეგოიზმი ($\beta = -.29$, $p<.01$) აღმოჩნდა ემოციური მხარდაჭერის სანდო პრედიქტორი (იხ. ცხრილი N5).

ცხრილი N5: რეგრესია ეგოიზმის სკალებსა და ემოციურ მხარდაჭერას შორის

ემოციური მხარდაჭერა			
	<i>B</i>	<i>SE</i>	β
ეგოცენტრული	-.52	.19	-.29**
ადაპტაციური	-.15	.20	-.09
პათოლოგიური	.24	.17	.16
R^2	.08		
<i>F</i>	3.76*		

შენიშვნა: *** $p \leq .001$; ** $p \leq .01$; * $p \leq .05$.

შედეგების განხილვა

კვლევის შედეგებმა გამოკვეთა საკმაოდ საინტერესო კავშირები ეგოიზმს, ემოციურ ინტელექტსა და ინტერპერსონალურ კომპეტენციებს შორის. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც ეგოიზმის განხილული თეორიის ავტორების კვლევაში (Raine & Uhl, 2018), ჩვენთანაც მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია დაფიქსირდა ეგოცენტრულ ეგოიზმსა და ემოციურ ინტელექტს შორის. თეორიიდან გამომდინარე, ეგოცენტრულად ეგოისტი ადამიანები მხოლოდ საკუთარ თავზე არიან კონცენტრირებულნი, სხვა ადამიანებს საკუთარი ფიქრის არეალში არ ახვედრებენ და სხვების პერსპექტივებს არ ითვალისწინებენ, შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ ჩვენს კვლევაში იგი უარყოფითად უკავშირდება ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებელს, ცალკეულად ინტერპერსონალურ ემოციურ ინტელექტს და ემოციური კომპეტენციების ისეთ სკალებს, როგორებიცაა ემოციური მხარდაჭერის უზრუნველყოფა და ინტერპერსონალური კონფლიქტების გამკლავება. აღმოჩნდა, რომ ეგოცენტრული ეგოიზმი კორელირებს არა მხოლოდ ემოციურ ინტელექტთან, არამედ მის სანდო პრედიქტორსაც წარმოადგენს. მოცემული შედეგები პოზიტიურად ეხმიანება იმ მოსაზრებებს, რომ ეგოცენტრული

ეგოიზმი მტკიცე კავშირშია სითბოს ნაკლებობასთან, დაბალ ალტრუიზმთან, დაბალ ემპათიასა და ნაკლებ დათმობასთან (Raine & Uh, 2018). თუმცა მას არ აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია ინტრაპერსონალურ ემოციურ ინტელექტთან, რაც შესაძლოა ლოგიკურად მივიჩნიოთ, ვინაიდან ეგოცენტრულ ადამიანებს შესაძლოა, კარგად შეეძლოთ საკუთარი ემოციების აღქმა, გაგება და მართვა, უბრალოდ, არ შეეძლოთ ან არ სურდეთ ამ უნარების სხვა ადამიანებისთვის გამოყენება.

აღმოჩნდა, რომ პათოლოგიური ეგოიზმი, რომელიც, კვლევების მიხედვით, კორელირებს ბნელ ტრიადასთან, ნარცისისტულ და ანტისოციალურ პიროვნულ აშლილობებთან (Raine & Uh, 2018), უარყოფითად უკავშირდება ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებლებსა და ინტერპერსონალურ ინტელექტს. მოცემული შედეგი ლოგიკურია, ვინაიდან პათოლოგიური ეგოიზმი მოიცავს სხვათა პერსპექტივების მხედველობაში მიუღებლობას და სინდისის ქენჯნის გარეშე საკუთარი ინტერესებისთვის მათ გამოყენებას. თუმცა პათოლოგიურად ეგოისტი ადამიანების მიერ ინტერპერსონალური ემოციური ინტელექტის სკალაზე შედარებით დაბალი ქულების მიღება, ეგოცენტრულისგან განსხვავებით, უფრო მეტად სავარაუდოა, უკავშირდებოდეს არა სიტუაციურად ეფექტური ქმედების უცოდინრობას, არამედ ცოდნის შემთხვევაშიც, გამიზნულად იმის იგნორირებას, თუ რა იქნებოდა სხვა ადამიანებისთვის კარგი. ჩვენ მიერ გამოყენებული ემოციური ინტელექტის ტესტი ინფორმაციას გვამლევს მხოლოდ მათ ტიპურ შესრულებაზე, შესაბამისად, რთულია, გავმიჯნოთ ის, თუ რა შეუძლიათ და რას აკეთებენ რეალურად ადამიანები. რაც შეეხება, ინტრაპერსონალურ ემოციურ ინტელექტს, იგი პათოლოგიურ ეგოიზმთან მნიშვნელოვნად არ კორელირებს, რაც შეიძლება, ისევე როგორც ეგოცენტრულის შემთხვევაში, იმით ავხსნათ, რომ, შესაძლოა, მათ საერთოდ არ უჭირდეთ საკუთარ ემოციებთან ახლო კავშირის ქონა. უფრო მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, თუ ადამიანს საკუთარი თავი პათოლოგიურად უყვარს, მოსალოდნელია, რომ მისი როგორც კოგნიტური, ისე ემოციური შესაძლებლობების კარგად შესწავლა სურდეს და, ასევე, სწავლობდეს ემოციების მართვას, ვინაიდან მძაფრმა ემოციებმა მას თვითონვე არ მოუტანოს ზიანი.

რაც შეეხება ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ცვლადს, ადაპტაციურ ეგოიზმს, აღმოჩნდა, რომ იგი უარყოფითად კორელირებს ემოციურ ინტელექტთან, ინტერპერსონალურ ემოციურ ინტელექტთან და კონფლიქტების გამკლავებასთან. მოცემული შედეგი არ ამართლებს ჩვენს მოლოდინებს, რომ ადაპტაციურად ეგოისტი ადამიანები საზოგადოებაში მოწონებული იქნებიან (Raine & Uh, 2018), ვინაიდან საკმაოდ რთულია ადამიანთა კეთილგანწყობის მოპოვება კარგი ემოციური ინტელექტის ქონის და ასევე, კონფლიქტების გამკლავების უნარის გარეშე. აღნიშნული ეგოიზმის ინტერპერსონალურ ემოციურ ინტელექტთან უარყოფითი კავშირის გამო, ფრომის იმ მოსაზრებას, რომ ადაპტაციურად ეგოისტი ხალხი სიყვარულს როგორც საკუთარი თავისადმი, ისე სხვებისადმიც მიმართავს,

ვერ ვადასტურებთ. ასევე, ვერ გავამართლებთ ჩვენს ვარაუდს და ვერ ვიტყვით, რომ მსგავსი ეგოიზმი ადაპტაციაში გვეხმარება, პირიქით, როგორც ჩანს კონფლიქტების მოგვარებაშიც კი გვიშლის ხელს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კავშირები ეგოცენტრული ეგოიზმის ემოციურ ინტელექტთან კორელაციებისგან შედარებით უფრო დაბალია, შესაბამისად, ამ ტიპის ეგოიზმი, ალბათ, ეგოცენტრულთან შედარებით ნაკლებად „ბნელი“ და არაადაპტური მახასიათებელია.

საინტერესოა, ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ეგოიზმის თითოეული ტიპი ინტერპერსონალური კომპეტენციების სამ სკალასთან: ურთიერთობის ინიციატივა, თვითგამოხატვა და სხვათა ქმედებით გამოწვეული უკმაყოფილების გამოხატვა, დადებითი კავშირის ტენდენციას ავლენს. მართალია, მოცემული კორელაციები იმდენად მცირეა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ ფიქსირდება, თუმცა, ვფიქრობ, რომ დასახელებული კომპეტენციები სწორედ იმ საკითხების ნუსხას მიეკუთვნება, რომლებშიც გარკვეული დოზით ეგოიზმი უნდა გვეხმარებოდეს, მაგალითად, ურთიერთობების ინიცირებაში, ვინაიდან გარკვეულ მომენტებში თუ საკუთარ ინტერესებს, სურვილებს წინ არ დავაყენებთ და მხოლოდ იმაზე ვიფიქრებთ, რა წარმოდგენებს შეიქმნის ხალხი ჩვენზე, შესაძლოა, ხშირად შესანიშნავი შანსები დაგვარგოთ. ასევე, თუ სხვების არასწორ ქმედებებზე ჩვენს უკმაყოფილებას არ გამოვხატავთ იმ მიზეზით, რომ სხვების ემოციებს საკუთარზე წინ ვაყენებთ, აღნიშნული უკმაყოფილო გრძნობები იმდენად დაგროვდება ჩვენში, რომ შესაძლოა, საბოლოოდ ბევრად ცუდ ფორმებში იჩინოს თავი ისე, რომ ჩვენც დაგვაზარალოს და სხვებიც (იხ. მაგ. Tull et al., 2011). აღნიშნული კორელაციები ძალიან მცირეა იმისთვის, რომ მსგავსი მსჯელობები უფრო განვავრცოთ, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ისინი მაინც შეიძლება იყოს მცირე ხელჩასაჭიდი იმ ტენდენციისა, რომ ეგოიზმი თავისი არსით მაინცდამაინც უარყოფითი არაა და შესაძლოა, ცხოვრების გარკვეულ ასპექტებში გვეხმარებოდეს კიდევ.

გარდა ამისა, საინტერესოა, ყურადღების გამახვილება ეგოიზმსა და ემოციურ ინტელექტს შორის სქესთაშორის განსხვავებებზე. აღმოჩნდა, რომ ეგოიზმის ყველა ტიპი უფრო მაღალია კაცებში, ხოლო ემოციურ ინტელექტში, განსაკუთრებით, ინტერპერსონალურ ინტელექტში, მეტად დომინირებენ ქალები. ვფიქრობ, რომ მიღებული შედეგები საკმაოდ კარგად ერგება საზოგადოების ევოლუციურ განვითარებას, რომელშიც მამაკაცებს ყოველთვის მეტად ეძლეოდათ თვითგამოხატვის საშუალება, რის შედეგადაც სწავლობდნენ, რომ შესაძლოა, საკუთარი ინტერესები ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე – გარემომდებლების (Eagly, 2013). მაშინ, როდესაც პარალელურად საუკუნეების განმავლობაში აქცენტი კეთდებოდა ქალების სხვებზე მზრუნველ ბუნებაზე, რომელიც მათ ინტერპერსონალურ ინტელექტში დახელოვნებაში გამოიხატა. შესაბამისად, შეიქმნა სამყარო, რომელშიც საკუთარ თავზე ორიენტირებული, წარმატებული კაცები დომინირებდნენ, ხოლო ქალები, რომლებიც საკუთარი თავის

სიყვარულს გამოხატავდნენ, განისჯებოდნენ. ვფიქრობთ, რომ ჩვენს კვლევაში მიღებული შედეგებიც იმის მანიშნებელია, რომ ეს ტენდენცია გრძელდება. ჩვენი აზრით, ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ადაპტაციური ეგოიზმის, ანუ საკუთარი თავის ჯანსაღი სიყვარულის იდეის განვითარება, რომელიც საზოგადოებაში ორივე სქესისთვის მიღებული იქნება.

დასკვნა

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ როგორ უკავშირდება ეგოიზმის სხვადასხვა ტიპი ემოციურ ინტელექტსა და ინტერპერსონალურ კომპეტენციებს. ეგოცენტრული და პათოლოგიური ეგოიზმის აღნიშნულ ცვლადებთან უარყოფითი კავშირის არსებობის მოლოდინი გამართლდა, ხოლო ადაპტაციური ეგოიზმის დადებითი კავშირის მოლოდინი – არა.

კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ ეგოცენტრული, ადაპტაციური და პათოლოგიური ეგოიზმის ტიპები უარყოფითად უკავშირდება ემოციურ ინტელექტს, ყველაზე ძლიერად ინტერპერსონალურ ინტელექტს და, აგრეთვე, ინტერპერსონალური კომპეტენციებიდან: ემოციური მხარდაჭერისა და კონფლიქტების გამკლავების კომპონენტებს. ასევე, აღმოჩნდა, რომ ეგოიზმის ტიპებიდან მხოლოდ ეგოცენტრული ეგოიზმი წარმოადგენს ემოციური ინტელექტის პრედიქტორს. რაც შეეხება ინტერპერსონალურ კომპეტენციებს, უკვე აღნიშნული ორი კომპონენტის გარდა, არცერთი მათგანის ეგოიზმთან კორელაცია არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. აგრეთვე, დაფიქსირდა სქესობრივი განსხვავებები როგორც ეგოიზმში, ისევე ემოციურ ინტელექტშიც.

მოცემული კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ეგოიზმის ცნების ახალი კუთხით დანახვა. ჩვენმა კვლევამ საშუალება მოგვცა განგვეხილა ეგოიზმის შედარებით ახალი თეორია (Raine & Uh, 2018), რომელზე დაყრდნობითაც ჩატარებული კვლევების რაოდენობა ჯერჯერობით მცირეა და, ასევე, საშუალება მოგვცა განსაკუთრებული ყურადღება გაგვემახვილებინა ადაპტაციურ, ჯანსაღ ეგოიზმზე, რომელიც მხოლოდ ბოლო პერიოდში გახდა აქტუალური შესწავლის საგანი. უფრო კონკრეტულად, გვინტერესებდა როგორ აღიქმებოდნენ ადაპტურად ეგოისტი ადამიანები საზოგადოებაში. აღნიშნულ კითხვაზე ამომწურავი პასუხი ვერ მივიღეთ, თუმცა შედეგებმა საშუალება მოგვცა, კიდევ ერთხელ დაგვესაბუთებინა თეორიის ავტორების შედეგები, ან გაგვემართლებინა მათი ვარაუდები, რაც ჩვენი კვლევის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს.

რაც შეეხება კვლევის პრაქტიკულ ღირებულებას, ვფიქრობთ, რომ თანამედროვე სამყაროში ადაპტური, ჯანსაღი ეგოიზმის შესწავლას დიდი გამოყენება უნდა ჰქონდეს, ვინაიდან დღესდღეობით ტელევიზიით, სოციალური ქსელით და სხვ. საშუალებებით საკმაოდ დამაბნეველი და სტრესის შემცველი მოწოდებები და

ინფორმაციები ვრცელდება საკუთარი თავის სიყვარულის შესახებ. მნიშვნელოვანია მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაციის არსებობა იმის შესახებ, თუ სად გადის ზღვარი ჯანსაღ და არაჯანსაღ ეგოიზმს შორის და როგორ უნდა გავანაწილოთ ჩვენი სიყვარული საკუთარ თავსა და გარშემომყოფებზე ისე, რომ ამან ჩვენც და მათაც სარგებელი მოუტანოს.

რა თქმა უნდა, მოცემულ კვლევას აქვს შეზღუდვები, მაგალითად, შერჩევა არის შედარებით მცირე და იკვეთება სქესში დისბალანსი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შერჩევის ზომა საკმარისია ჩვენ მიერ გამოყენებული სტატისტიკური ანალიზის ჩატარებისთვის. გარდა ამისა, კვლევაში გამოყენებული იყო თვითანგარიშის ტიპის კითხვარები, რომელთა შედეგებიც შესაძლოა, შედარებით სუბიექტური იყოს, განსაკუთრებით, ეგოიზმის საკვლევი კითხვარის შედეგები, თუმცა პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროში კვლევების მსგავსი კითხვარებით ჩატარება მისაღებია, რადგან ვჯერდებით იმაზე, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით ინფორმაციულია, თუ როგორ აფასებს ადამიანი საკუთარ თავს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში გამოყენებული სამი კითხვარიდან ორის თარგმნა და ვალიდაცია საკუთარ თავზე ავიღეთ, ხოლო ერთი მათგანის ახალი გასაღები პოპულაციის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებული მეთოდი ხშირად გამოიყენება ემოციური ინტელექტის შესაფასებლად გამოყენებული ტესტების გასაღების შემუშავებისას, როცა სწორი პასუხი ითვლება ან ექსპერტული შეფასების საფუძველზე, ან პოპულაციის მონაცემების საფუძველზე (იხ. მაგ., Mayer et al., 2003). რამდენადაც შეიძლება, რომ „სწორ“ პასუხს მნიშვნელოვნად კულტურა განსაზღვრავდეს, ჩვენ ვამჯობინეთ პოპულაციაზე დაფუძნებული გასაღების გამოყენება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ემოციური ინტელექტის საკვლევი ტესტის ინტრაპერსონალური კომპონენტის შინაგანი სანდოობა სასურველზე დაბალი იყო, ამიტომ მასთან კორელაციაში მიღებული შედეგების შესახებ თამამად ვერ ვიმსჯელებთ. თუმცა ამ ინსტრუმენტის სასარგებლოდ უნდა ითქვას ის, რომ იგი ავლენს ლოგიკურ და ვალიდურ კავშირებს სხვა მასთან დაკავშირებულ ცვლადებთან (Freudenthaler, & Neubauer, 2005) და სიტუაციური მსჯელობის ტესტებისთვის შინაგანი შეთანხმების დაბალი მაჩვენებელი უჩვეულო არაა. ასევე, ვფიქრობთ, რომ ვინაიდან გამოყენებული ეგოიზმის კითხვარი შედარებით ახალია, მას გარკვეული გადამუშავება ესაჭიროება, რამდენადაც ის აშკარა განსხვავებები, რაც თეორიულად სამი ტიპის ეგოიზმს განარჩევს ერთმანეთისგან, თავად კითხვარის დებულებებს შორის საკმარისად მკვეთრად არ არის გამოხატული, მაგალითად, კარგად არ ჩანს ადაპტური ეგოიზმის „სიჯანსაღე“, რამაც შესაძლოა, გარკვეული როლი ითამაშა იმაში, რომ ვერ მივიღეთ სასურველი დადებითი კორელაციები. ეს პრობლემა მხოლოდ ქართულ ვერსიას არ უკავშირდება, ორიგინალ ვერსიაშიც დაკარგულია აღნიშნული ნიუანსები, თუმცა მოცემული ინსტრუმენტი გამოყენებასთან ერთად თანდათან უფრო დაიხვეწება.

საინტერესო იქნებოდა მოცემული კვლევის სამომავლოდ უფრო დიდ და სქესის მიხედვით დაბალანსებულ პოპულაციაზე გამეორება. რაც შეეხება ახალ კვლევებს, საზოგადოებისთვის საინტერესო იქნებოდა იმ პრედიქტორების გამოკვლევა, რომლებიც ქალებსა და კაცებს შორის ეგოიზმში განსხვავებებს განაპირობებს. საგულისხმოა იმის გარკვევა, თუ როგორ ეხმარება ადაპტაციური ეგოიზმი ადამიანებს წარმატების მიღწევაში, თუნდაც, კარიერულ წინსვლაში. ასევე, მნიშვნელოვანი იქნება იმის კვლევა, თუ როგორ უმკლავდებიან ადაპტურად ეგოისტი ადამიანები სტრესულ სიტუაციებს და სტრესის დაძლევის რომელ მეთოდებს იყენებენ ისინი.

გამოყენებული ლიტერატურა

Alicke, M. D., & Sedikides, C. (Eds.). (2011). *Handbook of self-enhancement and self-protection*. Guilford Press.

American Psychiatric Association. (2013). *Diagnostic and statistical manual of mental disorders* (5th ed.). Washington, DC: Author.

Ariely, D. (2012). *The honest truth about dishonesty: How we lie to everyone, especially ourselves*. New York, NY: HarperCollins.

Bochner, A. P., & Kelly, C. W. (1974). Interpersonal competence: Rationale, philosophy, and implementation of a conceptual framework.

Brackett, M. A., Mayer, J. D., & Warner, R. M. (2004). Emotional intelligence and its relation to everyday behaviour. *Personality and Individual Differences*, 36(6), 1387-1402.

Buhrmester, D., Furman, W., Wittenberg, M. T., & Reis, H. T. (1988). Five domains of interpersonal competence in peer relationships. *Journal of Personality and Social Psychology*, 55(6), 991.

Caporael, L. R., Dawes, R. M., Orbell, J. M., & Van de Kragt, A. J. (1989). Selfishness examined: Cooperation in the absence of egoistic incentives. *Behavioral and Brain Sciences*, 12, 683-699.

Cialdini, R. B., Schaller, M., Houlihan, D., Arps, K., Fultz, J., & Beaman, A. L. (1987). Empathy-based helping: Is it selflessly or selfishly motivated?. *Journal of personality and social psychology*, 52(4), 749.

Ciarrochi, J. V., Chan, A. Y., & Caputi, P. (2000). A critical evaluation of the emotional intelligence construct. *Personality and Individual Differences*, 28(3), 539-561.

Cleckley, H. (1976). *The mask of sanity* (5th ed.). St. Louis, MO: Mosby.

Crocker, J., Canevello, A., & Brown, A. A. (2017). Social motivation: Costs and benefits of selfishness and otherishness. *Annual review of psychology*, *68*, 299-325.

Dawkins, R. (2016). *The selfish gene*. Oxford university press.

Eagly, A. H. (2013). *Sex differences in social behavior: A social-role interpretation*. Psychology Press.

Freudenthaler, H. H., & Neubauer, A. C. (2005). Emotional intelligence: The convergent and discriminant validities of intra-and interpersonal emotional abilities. *Personality and Individual Differences*, *39*(3), 569-579.

Fromm, E. (1939). *Selfishness and self-love*. William Alanson White Psychiatric Foundation.

Harbaugh, W. T., Mayr, U., & Burghart, D. R. (2007). Neural responses to taxation and voluntary giving reveal motives for charitable donations. *Science*, *316*(5831), 1622-1625.

Hobbes, T. (2016). 4. Leviathan. In *Democracy* (pp. 37-42). Columbia University Press.

Kaufman, S. B., & Jauk, E. (2020). Healthy selfishness and pathological altruism: measuring two paradoxical forms of selfishness. *Frontiers in psychology*, 1006.

Keltner, D., & Haidt, J. (2001). Social functions of emotions.

Klinkosz, W., Iskra, J., & Artymiak, M. (2021). Interpersonal competences of students, their interpersonal relations, and emotional intelligence. *Current Issues in Personality Psychology*, *9*(2), 125-134.

Le, B. M., Impett, E. A., Lemay Jr, E. P., Muise, A., & Tskhay, K. O. (2018). Communal motivation and well-being in interpersonal relationships: An integrative review and meta-analysis. *Psychological bulletin*, *144*(1), 1.

Li, Y., Li, H., Decety, J., & Lee, K. (2013). Experiencing a natural disaster alters children's altruistic giving. *Psychological science*, *24*(9), 1686-1695.

Lopes, P. N., Brackett, M. A., Nezlek, J. B., Schütz, A., Sellin, I., & Salovey, P. (2004). Emotional intelligence and social interaction. *Personality and social psychology bulletin*, *30*(8), 1018-1034.

Lopes, P. N., Salovey, P., & Straus, R. (2003). Emotional intelligence, personality, and the perceived quality of social relationships. *Personality and individual Differences*, *35*(3), 641-658.

Malouff, J. M., Schutte, N. S., & Thorsteinsson, E. B. (2014). Trait emotional intelligence and romantic relationship satisfaction: A meta-analysis. *The American Journal of Family Therapy*, *42*(1), 53-66.

- Martins, A., Ramalho, N., & Morin, E. (2010). A comprehensive meta-analysis of the relationship between emotional intelligence and health. *Personality and individual differences, 49*(6), 554-564.
- Maslow, A. H. (1943/1996). "Is human nature basically selfish?" in *Future Visions: The Unpublished Papers of Abraham Maslow*, E. Hoffman (Thousand Oaks, CA: Sage Publications), 107–114.
- Mayer, J. D., CARUSO, D. R., & SALOVEY, P. (1997). *Emotional Intelligence Meets*. 1997.
- Mayer, J. D., Salovey, P., & Caruso, D. R. (2008). Emotional intelligence: New ability or eclectic traits?. *American psychologist, 63*(6), 503.
- Mayer, J. D., Salovey, P., Caruso, D. R., & Sitarenios, G. (2003). Measuring emotional intelligence with the MSCEIT V2. 0. *Emotion, 3*(1), 97.
- Murray, S. L., Holmes, J. G., & Collins, N. L. (2006). Optimizing assurance: the risk regulation system in relationships. *Psychological bulletin, 132*(5), 641.
- Nelis, D., Kotsou, I., Quoidbach, J., Hansenne, M., Weytens, F., Dupuis, P., & Mikolajczak, M. (2011). Increasing emotional competence improves psychological and physical well-being, social relationships, and employability. *Emotion, 11*(2), 354.
- O'Boyle Jr, E. H., Humphrey, R. H., Pollack, J. M., Hawver, T. H., & Story, P. A. (2011). The relation between emotional intelligence and job performance: A meta-analysis. *Journal of Organizational Behavior, 32*(5), 788-818.
- O'Connor Jr, R. M., & Little, I. S. (2003). Revisiting the predictive validity of emotional intelligence: Self-report versus ability-based measures. *Personality and Individual differences, 35*(8), 1893-1902.
- Patrick, C. J. (2006). *Handbook of psychopathy*. New York, NY: Guilford.
- Petrides, K. V., Pita, R., & Kokkinaki, F. (2007). The location of trait emotional intelligence in personality factor space. *British journal of psychology, 98*(2), 273-289.
- Piaget, J. (1951). *The child's conception of the world* (Vol. 213). Lanham, MD: Rowman & Littlefield.
- Raine, A., & Uh, S. (2019). The selfishness questionnaire: Egocentric, adaptive, and pathological forms of selfishness. *Journal of Personality Assessment, 101*(5), 503-514.
- Riggio, R. E. (2010). Emotional intelligence and interpersonal competencies. In *Self-management and leadership development*. Edward Elgar Publishing.

Sánchez-Álvarez, N., Extremera, N., & Fernández-Berrocal, P. (2016). The relation between emotional intelligence and subjective well-being: A meta-analytic investigation. *The Journal of Positive Psychology, 11*(3), 276-285.

Schröder-Abé, M., & Schütz, A. (2011). Walking in each other's shoes: Perspective taking mediates effects of emotional intelligence on relationship quality. *European Journal of Personality, 25*(2), 155-169.

Smith, L., Heaven, P. C., & Ciarrochi, J. (2008). Trait emotional intelligence, conflict communication patterns, and relationship satisfaction. *Personality and Individual Differences, 44*(6), 1314-1325.

Spence, J. T., & Helmreich, R. L. (1978). *Masculinity and femininity: Their psychological dimensions, correlates, and antecedents*. University of Texas Press.

Spitzberg, B. H., & Cupach, W. R. (2012). *Handbook of interpersonal competence research*. Springer Science & Business Media.

Sprecher, S., & Fehr, B. (2005). Compassionate love for close others and humanity. *Journal of social and personal relationships, 22*(5), 629-651.

Tsaousis, I., & Nikolaou, I. (2005). Exploring the relationship of emotional intelligence with physical and psychological health functioning. *Stress and Health: Journal of the International Society for the Investigation of Stress, 21*(2), 77-86.

Tull, M. T., Hahn, K. S., Evans, S. D., Salters-Pedneault, K., & Gratz, K. L. (2011). Examining the role of emotional avoidance in the relationship between posttraumatic stress disorder symptom severity and worry. *Cognitive Behaviour Therapy, 40*(1), 5-14.

Van Leeuwen, N., Rodgers, R. F., Gibbs, J. C., & Chabrol, H. (2014). Callous-unemotional traits and antisocial behavior among adolescents: The role of self-serving cognitions. *Journal of Abnormal Child Psychology, 42*, 229-237.